ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

 890 20-33-05
877 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №157

17 ივნისი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით დროებითი საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების განკარგვის, გადაცემის, ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №31დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი №1-ის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებში ქონების ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით შეიქმნას დროებითი საინვენტარიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   - ვლადიმერ ლომთათიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;
   - ზურაბ შათირიშვილი – მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი - კომისიის თავჯდომარის მოადგილე;

- ნინო გიორგაძე – მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების სპეციალისტი სალაროს მეურნეობის და სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის საკითხებში;
- ვალერი ყაჭეიშვილი – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ქონების მართვის საკითხებში - კომისიის მდივანი;
- ლელა მდინარაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში;
- მამუკა სანიკიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში;
- რუსიკო კოტრიკაძე -მუნიციპალიტეტის დაბის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი.

2. დაევალოს კომისიას დანართში მითითებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებში არსებული ქონების ინვენტარიზაცია.
3. ინვენტარიზაცია დაიწყოს 2013 წლის 18 ივნისს და დამთავრდეს 2013 წლის 10 ივლისს .
4. ინვენტარიზაციის საფუძველი - მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შეცვლა.
5. ინვენტარიზაციის მასალები ჩაბარდეს მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილებას არა უგვიანეს 2013 წლის 18 ივლისისა.
6. კომისიას ტერიტორიულ ორგანოებში გადაადგილებისთვის გამოეყოს 150 (ას ორმოცდაათი) ლიტრი საწვავი.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

დანართი

№	**მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულები**
1	მუნიციპალიტეტის გამგეობის ნაბეღლავის ტერიტორიული ორგანო
2	მუნიციპალიტეტის გამგეობის ზოტის ტერიტორიული ორგანო
3	მუნიციპალიტეტის გამგეობის შუასურების ტერიტორიული ორგანო
4	მუნიციპალიტეტის გამგეობის ზემოსურების ტერიტორიული ორგანო
5	მუნიციპალიტეტის გამგეობის საჭამიასერის ტერიტორიული ორგანო
6	მუნიციპალიტეტის გამგეობის დაბლაციხის ტერიტორიული ორგანო
7	მუნიციპალიტეტის გამგეობის ბუკისციხის ტერიტორიული ორგანო
8	მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯვარცხმის ტერიტორიული ორგანო
9	მუნიციპალიტეტის გამგეობის ქვენობანის ტერიტორიული ორგანო
10	მუნიციპალიტეტის გამგეობის გოგოლესუბანის ტერიტორიული ორგანო
11	მუნიციპალიტეტის გამგეობის ამაღლების ტერიტორიული ორგანო
12	მუნიციპალიტეტის გამგეობის ფარცხმის ტერიტორიული ორგანო
13	მუნიციპალიტეტის გამგეობის ერკეთის ტერიტორიული ორგანო
14	მუნიციპალიტეტის გამგეობის გუთურის ტერიტორიული ორგანო
15	მუნიციპალიტეტის გამგეობის ვან-ზომლეთის ტერიტორიული ორგანო
16	მუნიციპალიტეტის გამგეობის გორაბერეჟოულის ტერიტორიული ორგანო
17	მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური
18	მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ– ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური
19	მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა სამსახური
20	მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური
21	მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის
22	მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო– ანალიტიკური სამსახური
23	მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახური